ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

EUIPO
EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE

EUGIPP

ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ideas powered @SCHOOL

ინტელექტუალური საკუთრება (IP) განათლებაში

მასწავლებელთა ტრენინგის პაკეტი

მოდული 3. სასწავლო მასალები

პირველი ვორქშოფი. ინტელექტუალური საკუთრების დღე სკოლაში

ტრენერის კონსპექტი

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

პირველი ვორქშოფი
ინტელექტუალური საკუთრების დღე სკოლაში

მიზნები	მასწავლებლების შთაგონება, რათა მათ მოაწყონ ინტელექტუალური საკუთრების გაცნობიერების დღე საკუთარ სკოლებში; ასევე, ჩაატარონ ინტელექტუალური საკუთრების გაკვეთილები ასაკის შესაფერისი მასალისა და აქტივობების გამოყენებით.
მასალები	ინტელექტუალური საკუთრების დღის ვიდეოკლიპი, ბუკლეტი და ვებგვერდი
პირველი ვორქშოფი	პირველი ვორქშოფი - ინტელექტუალური საკუთრების (IP) დღე ინტელექტუალური საკუთრების დღის ფარგლებში მთელი სასკოლო საზოგადოება ჩაერთვება აქტივობებში, რომლებიც, ერთი მხრივ, ეძღვნება კრეატიულობას, ინოვაციებსა და მეწარმეობას, მეორე მხრივ კი, ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობასა და სხვათა ნამუშევრების პატივისცემას. ინტელექტუალური საკუთრების დღის იდეის გასაცნობად შეგვიძლია ვუჩვენოთ ტრენინგის მონაწილეებს სპეციალური ვიდეოკლიპი ესპანეთში (ქალაქ ალიკანტეში) გამართული ღონისძიების შესახებ. ამის შემდეგ შეგვიძლია შევქმნათ მცირე ჯგუფები, რომლებშიც მონაწილეები მოიფიქრებენ სკოლაში ამ დღეს ჩასატარებელ კონკრეტულ აქტივობებს. გონებრივი იერიშისთვის ისინი გამოიყენებენ სხვადასხვა მასალას და ინტელექტუალური საკუთრების ბუკლეტს.